სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990
ხუთშაბათი
20
სექტემბერი
№ 113 (10350)
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

პარლამენტის ბიბლიოთეკა

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

18 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც მოწვეული იყვნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობის სარევიზიო კომისიის წევრები, მთელი რიგი პარტიული კომიტეტების მდივნები, ზოგიერთი სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების ხელმძღვანელები, რომლებიც არ შედიან რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პოლიტიკა;

საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამა;

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კამპანიასა და დეპუტატობის კანდიდატთა პარტიული სიის ფორმირებაში საქართველოს კომპარტიის მონაწილეობის ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის მუშაობა.

დღის წესრიგის პირველ ორ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვაჟა გურგენიძემ.

მესამე საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბონდო ჯიქიამ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ანტონ ინგოროყვა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ნუგზარ ნადარაია, საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი თემურ მოსიაშვილი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე ავთანდილ საყვარელიძე, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ბეჟან გონაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ჟიული შარტავა, რესპუბლიკის სტატსახკომის თავმჯდომარე რევაზ ბასარია, საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი თემურ ოსეფაშვილი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი ვარლამ კეშელავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი ემზარ ბერიძე, რესპუბლიკის სახმომარაგების თავმჯდომარე ვილენ ალავიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარე სერგო რიგვავა, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საქართველოს" პარტკომის მდივანი მიხეილ ბახტაძე.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება. (პლენუმის მუშაობის ანგარიში გამოქვეყნდება).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.

## საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიები

№ 91 ქ. ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა:

გვობია ნატო კაკოს ასული — თავმჯდომარე; ჰელსინკის კავშირის წევრი.

ესართია ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — მოადგილე სკკპ წევრი.

სოტკილავა მანანა შოთას ასული—მდივანი; რუსთაველის საზოგადოების ზუგდიდის რეგიონალური საკრებულოს პასუხისმგებელი მდივანი.

წევრები:

ჭიქია შალვა ტროფიმეს ძე — სკკპ წევრი.

ღურწკაია ილუშა შალვას ძე— სკკპ წევრი.

ქირია ნესტან ვალერიანის ასული — საოჯახო საწარმოო ფირმა „ენგურის" ინჟინერი.

ნემსაძე გურამ ამბაკოს ძე— ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის წევრი.

ნაჭყებია ოთარ ლუდუკის ძე— სახალხო ფრონტის წევრი.

კიტია ზვიად ჯუმბერის ძე— წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი.

ბიჭია თამაზ მიხეილის ძე— ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი.

ჯოლია ქეთინო ალექსანდრეს ასული—ცბს-ის დირექტორი

სოსელია იოსებ დავითის ძე— მიწათმოქმედების კავშირის წევრი.

ქანთარია ნუგზარ გიორგის ძე —ეროვნული ფრონტის რადიკალური კავშირის წევრი.

ნ. აკობია,
საოლქო კომისიის თავმჯდომარე.

მ. სოტკილავა,
მდივანი.

№ 93 კახათის ოლქის საარჩევნო კომისიის შემადგენლობა:

გაგნიძე ალბინა ვლადიმერის ასული — თავმჯდომარე, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი.

გაბუნია ვალერი ვლადიმერის ძე—თავმჯდომარის მოადგილე. სკკპ წევრი.

ჯგუშია ნანი ძაგულის ასული —მდივანი, ჰელსინკის კავშირის წევრი.

წევრები:

ნემსაძე არველოდი ამბაკოს ძე—საქ ლიბერალურ-დემოკრატიულ ეროვნული პარტიის წევრი.

ჭიქია ზურაბ ვარლამის ძე— სახალხო ფრონტის წევრი.

მინჯორაია ირინე გრამიტონის ასული—სკკპ წევრი.

გახარია ბონდო კაპიტონის ძე —სკკპ წევრი.

გოგოლაძე ალექსანდრე პროკოფის ძე—მიწათმოქმედთა კავშირის წევრი.

ქირია-ხუფენია ნონა ინდიკოს ასული—სკკპ წევრი.

ჩარგაზია დავით ივანეს ძე— რუსთაველის საზოგადოების წევრი.

ქუთათელაძე ნონა ირაკლის ასული—დემოგრაფიული საზოგადოების წევრი.

ჭითანავა ლერი პალადის ძე— სკკპ წევრი.

ქობალია გიორგი გიორგის ძე— ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი.

ა. გაგნიძე,
საოლქო კომისიის თავმჯდომარე.

ნ. ჯგუშია,
მდივანი.

№ 93 რუხის საარჩევნო კომისიის შემადგენლობა:

გუნავა ბეჟანი კუკურის ძე — თავმჯდომარე, მწვანეთა პარტიის წევრი.

ნადარაია იმედი იასონის ძე — მოადგილე, სკკპ წევრი.

ქარდავა ამირანი ალექსანდრეს ძე— მდივანი, მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი.

წევრები:

კუპავა გივი გვადიას ძე.

რაფავა ლონური უორუეს ძე— სკკპ წევრი.

ზარანდია იური მურმანის ძე— სკკპ წევრი.

ფარცვანია გოგია ოთარის ძე— სკკპ წევრი.

შენგელია რეზო ერმინეს ძე— საქ. ლიბერალურ-დემოკრატიულ ეროვნული პარტიის წევრი.

ნაჭყებია გოჩა ვასილის ძე— ჰელსინკის კავშირის წევრი.

არღვლიანი ედიშერი რაჟდენის ძე—სახალხო ფრონტის წევრი.

ფიფია მურთაზ დავითის ძე— წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი.

გულუა ონისე ყორყის ძე— ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი.

შონია მერაბ ტიტიკოს ძე— რუსთაველის საზოგადოების წევრი.

ალფენიძე ზაზა ტიტუშას ძე —მიწათმოქმედების კავშირის წევრი.

ბ. გუნავა,
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

ა. ქარდავა,
მდივანი.

## საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ქ. ზუგდიდის № 91 საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნები:

თბილისის საარჩევნო უბანი № 1

ცენტრი: ჰადრაკის სასახლის შენობა თბილისის ქუჩაზე.

საზღვრები: გამარჯვების ქ. № 1-დან დადიანის ქუჩამდე, ლენინის ქუჩა რუსთაველის ქუჩიდან დადიანის ქუჩამდე, თავისუფლების ქ. № 1-დან ლერმონტოვის ქუჩამდე, კომკავშირის ქ. № 1-დან ლერმონტოვის ქუჩამდე, გ. ჭყონდიდელის ქ. № 1-დან დადიანის ქუჩამდე, ყაზბეგის ქ. № 1-დან რუსთაველის ქუჩამდე, ჯაფარიძის, ნეკრასოვის, ლენინის 1-ლი შესახვევის, 1 მაისის, ვარშავას, ჯანაშიას, კარლ მარქსის, პიონერის, ორბელიანის, ძნელაძის, ძნელაძის ჩიხი, მარქსის ჩიხი, შ. ქირიას ეკა ფშაველას, შესახვევი, ა. როგავას, არაგვისპირელის, ჯიქიას, თბილისის, ლესია უკრაინკას, ჭილადიდელის ქუჩები.

ჩაის კომბინატ „ოდიშის" საარჩევნო უბანი № 2

ცენტრი: ჩაის კომბინატ „ოდიშის" კლუბის შენობა კორის ქუჩაზე

საზღვრები: დ. აღმაშენებლის ქუჩა ჯავახიშვილის ქუჩიდან ბოლომდე, ჯავახიშვილის, ჩაიკოვსკის, ჭონქაძის, ბარათაშვილის პეტრიაშვილის, ლომონოსოვის, ჩეხოვის, გრიბოედოვის, გრიბოედოვის შესახვევი, გორის, მცხეთის, მაიაკოვსკის, ცრისთავის, ერისთავის 1-ლი შესახვევი, კრილოვის, კრილოვის 1-ლი შესახვევი, კრილოვის მე-2 შესახვევი, მექანიკური კომბინატის, ჩაის კომბინატი „ოდიშის", № 2676 ავტოკოლონის და № 1 ჩაის ფაბრიკის დასახლებები.

(გაგრძელება მომდ. ნომერში)

## დეპუტატთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 27 სექტემბერს 12 საათზე, ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში გაიმართება ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის რაიონული საბჭოს მეჩვიდმეტე სესია შემდეგი დღის წესრიგით:

1. რაიონში მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და პირუტყვის ნორმალური გამოზამთრების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ (მომხსენებელი ზუგდიდის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, დეპუტატი ვ. ფიფია).

2. ორგანიზაციული საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების ზუგდიდის სარაიონო უბნები

**ახალაბასთუმნის საარჩევნო უბანი № 1**

ცენტრი: ახალაბასთუმნის კოლმეურნეობის კანტორა

საზღვრები: სოფ. ახალაბასთუმანი მთლიანად.

**ინგირის საარჩევნო უბანი № 2**

ცენტრი: ინგირის კოლმეურნეობის კანტორა

საზღვრები: ინგირის კოლმეურნეობის ტერიტორია, ოირემესა და რკინიგზის სადგურის წინა დასახლების გამოკლებით.

**ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის საარჩევნო უბანი № 3**

ცენტრი: ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის კანტორა.

საზღვრები: ოირემეს უბანი, ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის, ინგირის ჩაის ფაბრიკის ტერიტორიები, რკინიგზის სადგურის ტერიტორიის წინა დასახლება.

**კახათის საარჩევნო უბანი № 4**

ცენტრი: კახათის კულტურის სახლი.

საზღვრები: სოფელი კახათი ქვემო კახათის გამოკლებით.

**ქვემო კახათის საარჩევნო უბანი № 5**

ცენტრი: ქვემო კახათის სასოფლო კლუბი.

საზღვრები: ქვემო კახათი მთლიანად.

**ოქტომბრის საარჩევნო უბანი № 6**

ცენტრი: სოფელ ოქტომბრის კულტურის სახლი.

საზღვრები: სოფელი ოქტომბერი მთლიანად.

**ოდიშის საარჩევნო უბანი № 7**

ცენტრი: ოდიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.

საზღვრები: სოფელი ოდიში მთლიანად.

**შამგონის საარჩევნო უბანი № 8**

ცენტრი: შამგონის კოლმეურნეობის კანტორა,

საზღვრები: სოფელი შამგონა მთლიანად.

**ანაკლიის საარჩევნო უბანი № 9**

ცენტრი: ანაკლიის მეციტრუსეობის ექსპერიმენტალური საბჭოთა მეურნეობის კანტორა.

საზღვრები: სოფელი ანაკლია მთლიანად.

**ახალკახათის საარჩევნო უბანი № 10**

ცენტრი: ახალკახათის კოლმეურნეობის კანტორა.

საზღვრები: სოფელი ახალკახათი მთლიანად.

**განმუხურის საარჩევნო უბანი № 11**

ცენტრი: განმუხურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.

საზღვრები: სოფელი განმუხური მთლიანად,

**დარჩელის საარჩევნო უბანი № 12**

ცენტრი: დარჩელის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კანტორა.

საზღვრები: სოფ. დარჩელი ტელმანისა და კიროვის უბნის გამოკლებით.

**ტელმანის საარჩევნო უბანი № 13**

ცენტრი: ტელმანის სასოფლო კლუბი.

საზღვრები: სოფ. დარჩელის ტელმანის უბნის ტერიტორია მთლიანად.

**კიროვის საარჩევნო უბანი № 14**

ცენტრი: ტრესტ „კოლხიდმშენის" № 9 მოძრავ მექანიზირებული კოლონის კანტორა.

საზღვრები: სოფ. დარჩელის კიროვის უბნის ტერიტორია მთლიანად.

**დიდინეძის საარჩევნო უბანი № 15**

ცენტრი: დიდინეძის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.

საზღვრები: სოფელი დიდინეძი მთლიანად.

**ერგეტის საარჩევნო უბანი № 16**

ცენტრი: ერგეტის სასოფლო საბჭოს შენობა.

საზღვრები: სოფელი ერგეტა მთლიანად.

**ორსანტიის საარჩევნო უბანი № 18**

ცენტრი: ორსანტიის სანერგე საბჭოთა მეურნეობის კულტ-სახლი.

საზღვრები: სოფელი ორსანტია მთლიანად.

**ორულუს საარჩევნო უბანი № 19**

ცენტრი: ორულუს სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.

საზღვრები: სოფელი ორულუ მთლიანად.

**გრიგოლიშის საარჩევნო უბანი № 20**

ცენტრი: გრიგოლიშის კოლმეურნეობის კანტორა,

საზღვრები: სოფელი გრიგოლიში მთლიანად.

**კორცხელის საარჩევნო უბანი № 21**

ცენტრი: კორცხელის კოლმეურნეობის კანტორა.

საზღვრები: სოფ. კორცხელი ნაცატუს გამოკლებით.

**ნაცატუს საარჩევნო უბანი № 22**

ცენტრი: ნაცატუს კოლმეურნეობის კანტორა.

საზღვრები: სოფ. ნაცატუ მთლიანად.

**რიყის საარჩევნო უბანი № 23**

ცენტრი: რიყის კულტურის სახლის შენობა.

საზღვრები: სოფელი რიყე მთლიანად.

**რუხის საარჩევნო უბანი № 24**

ცენტრი: რუხის კულტურის სახლი.

საზღვრები: სოფელი რუხი მთლიანად.

**ჩხორიის საარჩევნო უბანი № 25**

ცენტრი: ჩხორიის კოლმეურნეობის კანტორა.

საზღვრები: სოფელი ჩხორია მთლიანად.

**ტყაიას საარჩევნო უბანი № 26**

ცენტრი: ტყაიის კოლმეურნეობის კანტორა.

საზღვრები: სოფელი ტყაია მთლიანად.

**ზედაეწერის საარჩევნო უბანი № 27**

ცენტრი: ზედაეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კანტორა.

საზღვრები: სოფელი ზედაეწერი მთლიანად.

**ჭკადუაშის საარჩევნო უბანი № 28**

ცენტრი: ჭკადუაშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.

საზღვრები: სოფ. ჭკადუაში მთლიანად.

**ყულიშკარის საარჩევნო უბანი № 29**

ცენტრი: ყულიშკარის კოლმეურნეობის კანტორა.

საზღვრები: სოფელი ყულიშკარი მთლიანად.

**ჯიხაშკარის საარჩევნო უბანი № 30**

ცენტრი: ჯიხაშკარის კოლმეურნეობის კანტორა.

საზღვრები: სოფელი ჯიხაშკარი მთლიანად.

**აბასთუმნის საარჩევნო უბანი № 31**

ცენტრი: აბასთუმნის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობის კანტორა.

საზღვრები: აბასთუმნის ყოფილი კოლმეურნეობის ტერიტორია. სამოლაშხიო-საკუტალიოს უბნების გამოკლებით.

**ხეცერის საარჩევნო უბანი № 32**

ცენტრი: ხეცერის სასოფლო კლუბი.

საზღვრები: ხეცერის ყოფილი კოლმეურნეობის ტერიტორია სამოლაშხიო-საკუტალიოს უბნების მიმატებით.

**ახალსოფლის საარჩევნო უბანი № 33**

ცენტრი: ახალსოფლის კოლმეურნეობის კანტორა.

საზღვრები: ახალსოფლის კოლმეურნეობის ტერიტორია მთლიანად.

**ჯუმის საარჩევნო უბანი № 3**

ცენტრი: კოლხიდის კოლმეუ
რნეობის კანტორა.

საზღვრები: კოლხიდის კო
მეურნეობის ტერიტორია საბ
ვაიოს უბნის გამოკლებით.

**ნარაზენის საარჩევნო უბანი № 35**

ცენტრი: ნარაზენის კულტურ
ის სასახლე.

საზღვრები: სოფელი ნარაზენ
კოლმეურნეობის ტერიტორია
12 ბრიგადის გამოკლებით.

**ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საარჩევნო უბანი № 36**

ცენტრი: ხეცერის ჩაის საბჭო
თა მეურნეობის კლუბი.

საზღვრები: ნარაზენისა და ხე
ცერის ჩაის საბჭოთა მეურნეო
ბის, ნარაზენის ჩაის ფაბრიკის
ნარაზენის კოლმეურნეობის მე-
ბრიგადის ტერიტორია, სოფ
ახალსოფლის საბეჟაიოს უბ
მიმატებით.

**ცაიშის საარჩევნო უბანი № 37**

ცენტრი: ცაიშის კოლმეურნე
ობის კანტორა.

საზღვრები: სოფ. ცაიში ურ
თის გამოკლებით.

**ურთის საარჩევნო უბანი №**

ცენტრი: ურთის კოლმეურნეო
ბის კანტორა.

საზღვრები: სოფ. ურთა მთლ
ანად.

**ჭაქვინჯის საარჩევნო უბანი № 39**

ცენტრი: ჭაქვინჯის კოლმეურ
ნეობის კანტორა.

საზღვრები: სოფ. ჭაქვინჯი
მთლიანად.

**ჭითაწყარის საარჩევნო უბანი № 40**

ცენტრი: ჭითაწყარის კოლმეუ
რნეობის გამგეობის კანტორა.

საზღვრები: სოფელი ჭითაწყა
რი მთლიანად.

**ეროვნული კონგრესის არჩევნების ზუგდიდის საქალაქო და რაიონული საარჩევნო კომისია.**

---

სასკოლო ცხოვრება

## პროფილირებული სწავლების დანერგვისათვის

პროფესიონალიზმის თანამედროვე გაგება, როგორც იქნა, შეეხო განათლების სისტემას, ბოლოსდაბოლოს, მივხვდით, რომ 15-18 საგნის ერთ დონეზე სწავლა ახალგაზრდისათვის ფაქტიურად შეუძლებელია. ამჟამად განათლების სისტემა რევოლუციის გზაზეა. უკვე ეყრება საფუძველი იმას, რომ „მიეცეს ნიჭსა გზა ფართო..." შემოღებულ იქნა სკოლებში პროფილირებული სწავლება, მაგრამ როგორც ამ რამდენიმე თვის წინ განათლების სამინისტროს მიერ დიფერენცირებულ სწავლებასთან დაკავშირებით ორგანიზებულმა შეკრებამ გამოავლინა, ზოგიერთი სკოლა მოუმზადებლად, ნაჩქარევად შეხვდა ამ სიახლეს.

მე-9 საშუალო სკოლის პედკოლექტივმა რამდენადმე გაითვალისწინა ეს პროცესი და საგრძნობ სიახლეებს უყრის საფუძველს.

სწავლების მე-8 საფეხურიდან გადავდივართ პროფილირებულ სწავლებაზე ფიზიკა-მათემატიკის განხრით, რისთვისაც გასულ წლებში ჩავატარეთ მოსამზადებელი სამუშაოები, სკოლამ მოიზიდა საუკეთესო კადრები — მათემატიკის მასწავლებელი ზ. ხუჭახია, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სპეციალისტი გ. ფიფია და სხვები. სამეურნეო ანგარიშზე გახსნილ ჯგუფებში მაღალ დონეზე მიმდინარეობდა მეცადინეობები, შეძენილ იქნა სასკოლო კომპიუტერების კომპლექტი და დამონტაჟდა 18 მოსწავლე —ადგილზე. დისტანციურ მართვაზე გადავიყვანეთ მთლიანად ფიზიკის კაბინეტი, დავამონტაჟეთ ლინგოფონის კაბინეტი, გვაქვს კეთილმოწყობილი მათემატიკის კაბინეტი. 27-28 აგვისტოს ჩავატარეთ გასაუბრება ცხრაკლასდამთავრებულთათვის მათემატიკისა და ფიზიკის პროფილირებულ ჯგუფში ჩასარიცხად. მოსწავლეებმა ორივე საგანში მაღალი დონე გამოავლინეს.

თუ წინათ სკოლებში მოსწავლეთა პატრიოტულ აღზრდას (რაც გულისხმობდა „სსრკ ჩვენი სამშობლოა") ჰუმანიტარულ საგნებში და დაწყებით სამხედრო მომზადებაზე ახორციელებდნენ, დღეს იგი ჭეშმარიტი ეროვნულ-პატრიოტული აღზრდით შეიცვალა, ხოლო პატრიოტული სულისკვეთება ყველა საგნის სწავლებისას უნდა განხორციელდეს. ამ კუთხით მუშაობის გაუმჯობესების მიზნით შევადგინე ფიზიკის ამოცანათა მთელი წყება, რომელიც მოსწავლეებს მეცნიერულ ცოდნასთან ერთად მისცემს ეროვნული სიმდიდრის შესახებ სრულყოფილ წარმოდგენას. მოგეხსენებათ, დღემდე არსებულ ამოცანათა კრებულში ასეთი რამ გათვალისწინებული არ არის. ჩემს მიერ შედგენილი ამოცანათა კრებული მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა ტიპის ციხე-სიმაგრეების, ეკლესიების, მღვიმეების, არქეოლოგიური გათხრების შესახებ ისტორიულ ფაქტებს.

რა სარგებლობას მოუტანს ეს ამოცანები მოსწავლეებს? ეროვნული განძეულობისა და ეროვნული სიმდიდრის შემსწავლელი ცალკე საგანი არ არსებობს სკოლაში, ვერც საქართველოს ისტორიისა და მშობლიური ლიტერატურის საგანი იძლევა ამ საკითხზე სრულყოფილ მასალას. ამ ამოცანების საშუალებით კი მოსწავლე-ახალგაზრდობა შეიძენს ცოდნის გარკვეულ მინიმუმს.

ამოცანების ისტორიულ-ლიტერატურული მხარე დაამუშავა ზუგდიდის მკვიდრმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა დათო ყოლბაიამ. ამჟამად შექმნილი გვაქვს მთლიანად მე-9 კლასისთვის და მეხამედი ნაწილი მე-10 კლასისთვის —500-ზე მეტი ამოცანა-

ამ ამოცანების მეცნიერულ დ
ეროვნულ მხარეებს განიხილ
ხსენებულ დისციპლინებში ღრმ
განსწავლული პიროვნებები ვ
ლერიან პარკაძე და ნოდარ ას
თიანი. ამოცანები პირობით
დაჰყავს 8 ჯგუფად — ეროვნულ
სიმდიდრის ღირებულების მქ
ნე, მევენახეობის განვითარებ
აღგრიცხველი, სამედიცინო თ
ლსაზრისით გასათვალისწინებ
ლი.

„...და ბოლოს, ვიტყოდი,
პროფილირებული სწავლება
რთლაც რომ სასურველ დონე
ზე განხორციელდეს, საჭირო
მასწავლებლის შრომის ანაზღ
ურება მოხდეს შედეგების მიხ
დვით, და არა გათანაბრებულ
ად, როგორც დღესაა. სკოლ
ხელმძღვანელებს უნდა მიეც
სრული თავისუფლება კადრებ
შერჩევასა და დაკომპლექტებ
ში. ასევე, უნდა შემუშავდ
მოსწავლეთა ცოდნის შეფასებ
ერთიანი კრიტერიუმი, რაც გამ
რიცხავს გაუგებრობებს.

გ. კაკა

მე-9 საშუალო სკოლის მასწ
ლებელი.

# გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

## დიდია მასწავლებლის მისია

განსაკუთრებით დიდია მასწავლებლის მისია დღეს, როცა მშობელი ერის ბედი, მისი აწმყო და მომავალი მის მიერ აღზრდილმა და დავაჟკაცებულმა თაობამ უნდა გადაწყვიტოს. ამიტომაც, ბუნებრივია, არასდროს არ ყოფილა სახალხო განათლების ამოცანები ისე რთული, ისე პრობლემური როგორც ამჟამადაა. უჩვეულო და განსხვავებულია ბოლო ორი წელი სახალხო განათლების სისტემაში. იგი ადრინდელი ტრადიციების ფარგლებში ვერ ეტევა.

წინა წლებისაგან განსხვავებით ახალი სასწავლო წლის პირველი სემესტრი დამთავრდება 24 დეკემბერს. საზამთრო არდადეგები 15 დღე გაგრძელდება, 25 დეკემბრიდან 8 იანვრამდე, ჩათვლით. მეორე სემესტრი დაიწყება 9 იანვარს და მთავრდება სასწავლო წლის ბოლოს. საგაზაფხულო არდადეგები გაგრძელდება 8 დღე—24 მარტიდან 31 მარტამდე, ჩათვლით, ხოლო დამატებით პირველ კლასელთათვის 11-დან 18 თებერვლამდე.

სასწავლო წელი პირველკლასელთათვის 20 მაისს მთავრდება, ხოლო ყველა დანარჩენებისათვის 25 მაისს.

გამოსაშვები გამოცდები მე-9 კლასში ჩატარდება 30 მაისიდან 8 ივნისამდე, მე-11 კლასებში — 31 მაისიდან 20 ივნისამდე.

იმ კლასებში, სადაც პედაგოგიური საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს გადასაყვან გამოცდებს ეს ღონისძიება ჩატარდება 27 მაისიდან.

ქალაქის სკოლებში სიახლე ისაა, რომ, მიმდინარე სასწავლო წელს პირველად განხორციელდება დიფერენცირებულ სწავლებაზე გადასვლა მერვე და მეცხრე კლასებში. პირველი საშუალო სკოლა აგრძელებს ცალკეული საგნების გაღრმავებულ სწავლებას, დანარჩენი სკოლები იმუშავებენ ძირითადი სასწავლო გეგმის მიხედვით.

ახალ სასწავლო წელს განხორციელდება დაწყებითი კლასების მთლიანად გადაყვანა ხუთდღიან მეცადინეობაზე. დაწყებითი კლასების პერსპექტიულ გარდამავალ სასწავლო გეგმაში შესულია ახალი საგნები: ბუნების კარი (გარესამყაროსა და ბუნებათმცოდნეობის ნაცვლად), მუსიკა და რიტმიკა (მუსიკისა და ფიზკულტურულ-ქორეოგრაფიული მოძრაობის ურთიერთშერწყმით), მხატვრული შრომა (სახვითი ხელოვნების და შრომითი სწავლების ურთიერთშერწყმით).

დიფერენცირებულ სწავლებაზე გადასვლის განხორციელების ხარისხს განაპირობებს სკოლის მატერიალურ-სასწავლო ტექნიკური ბაზა, კვალიფიცირებული მასწავლებლების შემადგენლობა, მოსწავლეთა შესაბამისი კონტინგენტის შერჩევა და სწავლების მსვლელობაზე რაციონალური ხელმძღვანელობა, რაზედაც პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექციას. ამიტომაც დიფერენცირებულ სწავლებაზე გადასვლის განხორციელებას თავიდანვე დიდი სიფრთხილით, საქმის ღრმად შესწავლით და ორგანიზებულობით უნდა ვეკიდებოდეთ.

დემოკრატ პედაგოგთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის ინიციატივით ახალი სასწავლო წლისთვის ქ. ზუგდიდში პირველად იხსნება ექსპერიმენტული სკოლა მესამე საფეხურის სკოლის ნიჭიერი მოსწავლეებისათვის. მაპროფილებელი ჰუმანიტარული, ფიზიკა-მათემატიკისა და ქიმია-ბიოლოგიის დისციპლინების სწავლება იწარმოებს გაღრმავებული პროგრამით, აგრეთვე შემოღებული იქნება უცხო ენის გაძლიერებული სწავლება.

სკოლა ამზადებს უფროსკლასელებს უნივერსიტეტში, სამედიცინო ინსტიტუტსა და შესაბამისი პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად.

ახალი სასწავლო წლისათვის ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს პირველი კლასის მოსწავლეთა კონტინგენტის სწორად დაკომპლექტებას. უნდა განხორციელდეს პირველ კლასში ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად მომზადებული, ჯანმრთელი, ასაკით შესაფერისი ბავშვების ჩარიცხვა. ამ საქმეს ჯანმრთელობის განყოფილება და სამედიცინო - პედაგოგიური კომისია მთელი პრინციპულობით უნდა მიუდგეს.

უნდა ითქვას ისიც, რომ გასულ წლებში რუსულ სექტორზე ჩარიცხვა ხდებოდა ხუთ საშუალო სკოლაში, მიმდინარე წელს კი მხოლოდ ორ (მე-4 და მე-5) სკოლებში ჩაირიცხებიან მოსწავლეები რუსულ სექტორზე. იმედს გამოვთქვამთ, რომ მიმდინარე წელს, ეროვნული მოძრაობის ამ კულმინაციურ წელს მშობლები არ გადადგამენ ისეთ ნაბიჯს, რომ ქართველ ბავშვს არამშობლიურ სკოლაში დააწყებინონ სწავლა. ეს იმის მსგავსია „ბავშვმა სიარული არ იცოდეს და ცხენზე ჯდომას ვასწავლიდეთ“.

განახლებული პედაგოგიური საზოგადოება, მისი საქალაქო საბჭო უნდა დადგეს იმ დონეზე, რომ მას შეეძლოს მორალური და მატერიალური მხარდაჭერა ყველა მისი წევრისადმი, სახალხო განათლების ყველა მუშაკისადმი, რათა პედაგოგი არანაკლები სიამაყის გრძნობით გამოჩნდეს საზოგადოებაში, ვიდრე მედიცინის მუშაკი, ინჟინერი, ეკონომისტი.

**დავით აბსავა,**
ქ. ზუგდიდის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდისტი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

## გვჭირდება საკუთარი არმია

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში 1968 წლიდან შემოღებულ იქნა დაწყებითი სამხედრო მომზადება. სამხედრო სწავლება ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სინამდვილეში პირველად დაინერგა № 5 საშუალო სკოლის ბაზაზე. სწავლება მიმდინარეობდა საერთო საკავშირო ინტერესებიდან გამომდინარე, რუსულ ენაზე.

დღეს ქართველი ერის მისწრაფება ცხადია: დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უახლოეს მომავალში წარმატებით დაგვირგვინდება. ასეთ პირობებში მას აუცილებლად სჭირდება თავისი რეგულარული არმია.

ყოველ ცივილიზებულ, დამოუკიდებელ ერს აუცილებლად ჰყავდეს თავის ენაზე მოლაპარაკე საკუთარი არმია, შინაგანი თუ გარეშე მტრებისაგან დასაცავად. ამნაირად, დადგა დრო, დავიწყოთ ქართული არმიის შექმნისათვის სამზადისი. ამდენად, საჭიროა ქართული სექტორის ყველა ტიპის სკოლებში სამხედრო სწავლება წარიმართოს ქართულ ენაზე, რაც დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს საჯარისო ფორმირებას.

ქართული მხედრული ნიჭი ანცვიფრებდა მთელ მსოფლიოს თავისი გონიერებითა და სიმამაცით. ამ მხედრული ნიჭის წყალობით გადაურჩა საქართველო ურიცხვი მტრის უთვალავ შემოსევას და დღესაც აუცილებელია აღსდგეს, აღზევდეს ის ქართული მხედრული გენი, რომელიც დაიცავს მამულს ყოველგვარი საფრთხისაგან.

**რ. კუკავა,**
ომისა და შრომის ვეტერანი, გადამდგარი კაპიტანი.

## კვლავ აჭრიალდა

ორშაბათს კვლავ მოეფინა სკოლის დერეფნებს და აივნებს მონატრებული ხმა—თვალცისკარა ბავშვების ჟრიამული. ისევ გამოცოცხლდა დროებით მიყუჩებული არემარე.

იმედებითა და რწმენით სავსე შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს მოსწავლეები და მასწავლებლები, მშობლები.

ასე იყო იმ დღესაც. 17 სექტემბერს საზეიმო ვითარება სუფევდა ონარიის არასრულ საშუალო სკოლაში. მოსწავლეებს მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს სკოლის დირექტორმა თ. კუკავამ, მასწავლებელმა ე. კაკულიამ, მშობელმა ნ. ნადარაიამ და სხვებმა.

17 სექტემბერს ონარიის არასრულ საშუალო სკოლაში განახლებულ ვითარებაში, ლამაზად მოწყობილ კლას-კაბინეტებში მიუჯდნენ მერხებს მოსწავლეები და ჩვეული ენერგიით შეუდგნენ სწავლას.

ანალოგიური ვითარებაა ქალაქის № 10 საშუალო სკოლაში (დირექტორი ე. თოლორაია). აქ არდადეგების დაწყებიდანვე დაიწყო სარემონტო სამუშაოები. შეძენილ იქნა თვალსაჩინოებანი, კეთილმოეწყო კლას-კაბინეტები და ლაბორატორიები. სარემონტო სამუშაოების შესრულებისას სკოლას მხარში ამოუდგნენ მოსწავლეები. მუყაითად იმუშავეს მერვე კლასის (ხელმძღვანელი დ. გულუა) მოსწავლეებმა პ. ბერაძემ, ი ჯანჯარაულმა, თ. კანკიამ და სხვებმა.

სკოლა ყოველმხრივ მზად შეხვდა ახალ სასწავლო წელს.

**ჯ. ჩაკაბერია.**

## დროზე დაიწყო

ორშაბათს მოსწავლეთა ჟრიამულით აივსო სკოლების ეზოები. გადაიფურცლა ახალი სახელმძღვანელოები თუ ჟურნალები.

ახალი სასწავლო წლისათვის დროზე დაიწყო მზადება ცაიშის საშუალო სკოლის (დირექტორი შ. კვარაცხელია) დირექციამ. სკოლას მიუშენდა ახალი კორპუსი ათი საკლასო ოთახითა და რვა კაბინეტით. მატერიალური ბაზის მხრივ სკოლა უზრუნველყოფილია, — ეს კეთილშობილური საქმე გააკეთა საქართველოს ოლიმპიადშენის ტრესტმა (მმართველი ნ. ჯობავა).

ამ დღეებში დაიწყება სკოლაზე სპორტდარბაზის მიშენება. შენობის წინა ხედი დამშვენდა ყვავილნარებით. სკოლა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით.

## 125 წლის წინათ

ექვს სექტემბერს, 125 წლის წინათ, გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული ენის სახელმძღვანელო სახალხო სკოლების პირველი ორი განყოფილებისათვის — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“.

## ერთხელ კიდევ...

სკოლებში მეცადინეობის დაწყების დღეს, ჩვენ ერთხელ კიდევ ყველას გასაგონად წარმოვთქვამთ გულის სიღრმიდან მომდინარე სიტყვებს: დაე, იზარდოს სახალხო განათლების ჯეჯილი, დაპურდეს, გახდეს ყანა და დაამშვენოს სამშობლოს კიდით-კიდემდე!

გავეშუროთ ცოდნის იალაღებისაკენ, აღვზარდოთ ღირსეული მამულიშვილები, რომ ჩვენ შემდგომად მოძმეს ჩვენსა ერის დიდებისა და სიძლიერისათვის „სიძნელე გზისა გაუადვილდეს“.

მოსაგონარი

## სათნოებით გამორჩეული

ვინც ნამდვილი პედაგოგია ალბათ დამემოწმება, რომ მოსწავლე შენივე სულის ნაწილია. ისინი გამახსოვრდებიან ზრდილობით, ნიჭიერებით, გულჩვილობით, კრძალვით და ვინ მოთვლის...

სათნოებით გამორჩეულმა ელისო აბშილავამ მეოთხე სკოლა დაამთავრა, შემდეგ სპეციალური განათლება მიიღო და რესპუბლიკური საავადმყოფოს ყელ-ყურის განყოფილებაში საიმედოდ ედგა გვერდით ცნობილ ქირურგებს. ორი წლის წინ კი გავაცილეთ „უკანასკნელ სავანემდე.

სიხარული დარდით შეგვეცვალა მის აღმზრდელებს. გვენანება, რომ იგი ვერ შეესწრო დღევანდელ ეროვნულ მოძრაობას და გვწამს რომ ტაძრისაკენ მიმავალ გზას ჩვენთან ერთად გაჰყვება ელისოს ლამაზი სულიც.

ამ დღეებში მასწავლებლებმა მის საუკეთესო მეგობართან ნინო სართანიასთან ერთად მოვინახულეთ მოსწავლის სამუდამო განსასვენებელი. ყვავილები მივიტანეთ, მოვეფერეთ.

მართლაც რომ დიდი ყოფილა ძალა სიყვარულისა—[illegible] მასწავლებლისა და მოსწავლისა...

**ნანული ჯიქია,**
პედაგოგი.

## უსაყვარლესი მოსწავლე

ჩვენი უსაყვარლესი მოწაფე, ალალმართალი, ჰკვიანი, მეოცნებე, გამორჩეული, უკვე სტუდენტი კუიბიშევის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა ჯონი მიქავა ვეღარ ხვდება სექტემბრის ზეიმს.

დააკლდა სოფელს, საქართველოს, დააკლდა სწორედ მაშინ, როცა ერს თითოეული შვილი ძვირად უღირს.

ამ დღეებში მივალთ ციური და გურამი მიქავების ოჯახში ერთად-ერთი ვაჟის ჯონის დაბადების დღეზე. ყვავილებით შევამკობთ მის სამუდამო სავანეს. გვენანება დაბადებისა და გარდაცვალების თვის საბედისწერო დამთხვევა. მის ცად ამაღლების მიმნიშვნელია, რასაც ვიტოვებთ იმედად.

**ქვემო ქახათის საშუალო სკოლის პედაგოგები.**

ლიტერატურული კუთხე

## არაფერია

არაფერია, წვიმა გადივლის...
ახლა კი ისევ შენი ჯერია,
მე მსურდა შენზე ოცნება მხოლოდ,
შენ კი მითხარი — არაფერია!
შენზე ფიქრები დაჰქროდნენ ვნებით,
ჩემი ცხოვრების ნაზი ფერია,
მე სიყვარულიც დავკარგე ბოლოს,
შენ კი მითხარი — არაფერია.
გული დამძიმდა, დაბნელდა მთვარე
გზად ეკალ-ბარდი შემომფენია,
მე სიყვარული შეგთხოვე მხოლოდ,
შენ კი მითხარი — არაფერია!
ცრემლები თვალებს ჩამოედინნენ,
წუხილი გულზე შემომხვევია,
გამოთხოვება შეგთხოვე მხოლოდ,
შენ კი მითხარი — არაფერია!
არაფერია, ისევ იწვიმებს,
გულს სიყვარული მოსწყურებია,
ვერ დააფასე ეს სიყვარული,
ავიტან ამას, არაფერია.

ლია ხვიტია.

## თავისუფლების შარავანდედო

ამირანივით მიჯაჭვულ გრძნობას
ნანატრი გულის დღე გაჰთენია,
სისხლით შეღებილ იბერის დროშას
წმინდა მაცხოვრის მადლი ჰფენია...
სხვა სიდიადე და მოწყალება
შენც არავისთვის არ გითხოვნია,
თავისუფლება მხოლოდ შენი და...
ისიც რა ძნელად მისაწვდომია.
მაგრამ იმედი ფრთებს გაშლის მალე,
უკან დახევა არა გვჩვევია...
თავისუფლების შარავანდედო,
შენ საქართველოვ, ჯვარი გწერია!

გოჩა დარასელია.

## სული ალმასია

სული ალმასია ცხოველი ჩრდილებით,
თუკი გაალწია უდაბნოს ნაპირებს,
მოზომილ ჰურჭელში ყოფნა სიკვდილია,
და მარტო სიცოცხლის სილბოს ვერ გაიგებ...
ეძებ და ვერ პოვებ სულს სულთან შესაფიცს,
რადგან მას ხორცი და ჰინჩები აფარია,
სული ცრემლის ტბაში ასჯერ რომ დაიხრჩოს,
ასჯერ გადარჩება... სული ალმასია.
ხორცი წარმავალი ბრწყინავს დაჭადნებით,
იგი არამკითხე მოამბის დარია,
როცა ნილბებს შორის სული სულს ვერ აგნებს,
მაშინ სიყვარული დიდი ხნის მკვდარია...
ხორცი წარმავალი ბრწყინავს დაჭადნებით,
სული ალმასია.

ნონა ჯანაშია.

## ესეც ჩვენი სტუმართმოყვარეობა

რუსთავის მცხოვრები ვარ. სტუმრად ვიმყოფებოდი ზუგდიდში, მაგრამ ვაი, ასეთ სტუმრობას. არაკაცებმა (სხვა სიტყვა მათ არ მიესადაგება) ჩაგვიშალეს სტუმრობაც და ყოფნაც. მაცხოვრისკარის № 22-დან ღამით 21 აგვისტოს მომტაცეს მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგული", მანქანასთან ერთად ოჯახის წევრების ტანსაცმელი და სხვა ნივთები. მეორე დილით დარეტიანებული, თითქმის შიშველტიტველნი მაღაზიებში დავრბოდით შესამოსის საყიდლად.

საუბედუროდ, ძალიან გახშირდა მანქანების ქურდობა, შედეგი ხელისუფლების უძლურებისა და საერთო განუკითხაობისა. როგორ მოგვიმრავლდნენ სათაყვანებელ საქართველოში ნაძირალები, ლაწირაკი კაცუნები, რომელთაც ადამიანური მორალური სახე დაუკარგავთ.

დღეს, ეროვნული მოძრაობის ასე აღზევების ჟამს გვმართებს ბრძოლა ასეთი უკეთურების წინააღმდეგაც. მთელმა საზოგადოებამ უნდა ამხილოს ნაძირალები, სამარცხვინო ბოძზე უნდა გავაკრათ მათი სახელები, ვინც დღედაღამ სხვისი ნაოფლარის მითვისებაზე ფიქრობს.

ეს ზნეობადაკარგული ადამიანები ციდან არ ჩამოდიან. ისინი შენს გვერდით, ჩემს გვერდით, ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობენ. დღეს გამქურდეს მე, ჩემი ოჯახი, შვილები, ხვალ თქვენ მოგადგებიან, ჩემო საყვარელო, გამრჯევ და პატიოსანო ადამიანებო!

ამიტომაც დღეს ყველა პატიოსანი ქართველი უნდა გაერთიანდეს ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად, თორემ ხვალ შეიძლება გვიან იყოს...

ვ. უზირია.

## ი. ფ. ლუკავა



პარტიისა და შრომის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა სკკპ წევრი 1921 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ზუგდიდის საპატიო მოქალაქე ილია ფილიპეს ძე ლუკავა.

იგი დაიბადა 1900 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში. სრულიად ახალგაზრდა 1917 წელს იწყებს მუშაობას წალენჯიხის რაიონის კომისარიატში საქმეთა მმართველად. 1921 წლიდან მუშაობდა ლიის რაიონის პარტიული კომიტეტში ინსტრუქტორ-ორგანიზატორად, ხოლო 1923 წელს არჩეულ იქნა ლიის რაიკომის მდივნად. 1926 წელს გადაყვანილ იქნა საქ. კპ ზუგდიდის სამაზრო კომიტეტში ინსტრუქტორად, ამავე დროს სწავლობდა სვერდლოვის სახელობის მოსკოვის კომუნისტური უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. სამაზრო კომიტეტის გაუქმების შემდეგ 1930 წლიდან მუშაობდა წალენჯიხის რაიონის მიწგანის გამგედ და რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. 1931 წლიდან 1960 წლამდე, ე. ი. პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა ისევ ზუგდიდში სხვადასხვა პასუხსაგებ სამუშაოებზე. იყო რაიონული დამზღვევი კასის გამგეობის თავმჯდომარე, საბჭოთა მეურნეობა „კოლხიდის" მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე, რაიონული შემნახველი სალაროს გამგე, რაიაღმასკომის მდივანი, „ზაგოტზერნოს" ბაზის მმართველი და სხვა.

არაერთგზის იყო არჩეული ზუგდიდის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, სამკერდე ნიშანი „პარტიაში 50 წელი" და საპატიო სიგელები.

წავიდა ჩვენგან ყალმოხდილი, ახალი თაობის აღმზრდელი და დამრიგებელი, რომლის ხსოვნა დიდხანს შემორჩებათ თანამემამულეებს.

ამხანაგების ჯგუფი.

## შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონული განყოფილებიდან იტყობინებიან

მიმდინარე წლის 11 სექტემბერს მოქალაქის პირადი ქონების ქურდობისათვის დაკავებულია ქალაქ ზუგდიდის ჩიტაძის ქუჩა № 24-ში მცხოვრები გენო გენოს ძე ლაგვილავა, დაბადებული 1965 წელს.

* * *

დაუდგენელი ბოროტმოქმედების მიერ გაქურდულ იქნა ლენინგრადის ქუჩა № 61-ში მდებარე მოქალაქე შურღაიას საცხოვრებელი სახლი.

* * *

12 სექტემბერს დაახლოებით 21 საათზე დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ ქალაქ ზუგდიდში გავლით მყოფ ფოთელ შ. გუგუშვილს და ცივი იარაღით მიაყენეს ჭრილობა. დამნაშავენი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

* * *

12 სექტემბერს, დაახლოებით 21 საათსა და 20 წუთზე ზუგდიდის რაიონის ხოფელ რუხში მცხოვრებ ფეხით მოსიარულე რ. მალანიას შეეჯახა ვაზ-2106 მარკის, სახელმწიფო ნომრის გარეშე მოძრავი ავტომანქანა, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი მიიმალა.

იმავე ღამეს ქ. ზუგდიდის დადიანის ქუჩაზე ადგილი ჰქონდა ავტოსაგზაო შემთხვევას. დაშავდა ხუთი მგზავრი.

რედაქტორი
ჰპ ჭანტურია.

## განცხადება, რეკლამა...

ზუგდიდის საცხენოსნო სპორტული კლუბის დირექცია
აცხადებს,

რომ იპოდრომთან გახსნილია ცხენით სეირნობისა და ჯანმრთელობის ფასიანი ჯგუფები.

მომსახურების გასამრჯელო მიიღება, როგორც უნაღდო ანგარიშსწორებით (ორგანიზაციებიდან) ასევე ნაღდ ანგარიშზე ცალკეული ინდივიდებისაგან.

ჯგუფებს უხელმძღვანელებს სტაჟიანი, გამოცდილი, კვალიფიციური მწვრთნელი მიხეილ ჰავჰავაძე.

მეცადინეობები ჩატარდება დილასა და საღამოს, მსურველთათვის ნებისმიერი დროის მონაკვეთში შაბათისა და კვირა დღეების ჩათვლით.

პირობების გაგება შეიძლება იპოდრომის დირექციაში.

მისამართი: სოფ. რუხი, იპოდრომი.

**უ ვ რ ა დ ღ ე ბ ა!**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 3 სექტემბრის № 438 დადგენილებით დამტკიცებულია (გარდა ჯანდაგისა) პირუტყვის შესასყიდი ფასების დიფერენცირებული დანამატი, მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან მსხვილფეხარქოსანი პირუტყვისათვის 1 კილოგრამ ხორცზე — 1 მანეთი, ღორის ხორცზე — 0,55 კაპიკი, (ცოცხალი წონით), როგორც საზოგადოებრივი ასევე, მოსახლეობიდან შესყიდულ და ჩაბარებული პირუტყვისათვის.

რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება.

შვილები: ლიანა, ჯუმბერი აბრამიები, შვილიშვილები: ნათია, სოფიკო აბრამიები, ცირა, უჩა ფიფიები, რმაზი იამზე ჰანტურია, სიძე გული ფიფია, და მუშანიკა, მული ქიქინო აბრამია, დისშვილები ლიდა, ნინა, შურა, ლოლა გარუჩავები, ლეილა, დალი გვაჯავები, სიძეები: შალვა არჩაია, ამირან ქვირკველია, ლეონტი ქაქუთია, შალვა პერტაია, ალიოშა ქავთარაძე, ჯემალ ჰეჟია, ზაურ შენგელია ოჯახებით იუწყებიან

**ციალა (ვალენტინა) დათას ასულ ქვარაცხელია-აბრამიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21 სექტემბერს, დაკრძალვა 22 სექტემბერს, ქ. თბილისში, გამოსვენება ბუდაპეშტის ქ. № 8, ბინა 22-დან, 15 საათზე.

ქ. ზუგდიდის აკ. წერეთლის სახელობის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებლის **თამარ იაკობის ასულ ჭითანავას** გარდაცვალებას.

ზუგდიდის საბინაო-კომუნალური მეურნეობის რაიონული გაერთიანების კოლექტივი იუწყება **ვალოდია ქუზუს ძე თოდუას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ცაიშეწერის 8-წლიანი სკოლის 1976 წელს კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზებური ჩოხოს ძე მესხი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შვილი კომვაკი, რძლები რაია, ვარო, ლინა, ნაზი, დები: აგრაფინა, თამარი, ბაბუცა, დისშვილები: ყორა, რუსიკო, ლიზა გრიგოლიაიები, რეზო კანჯია, ლალი, ჯემალი ქურსუები, რეზო, ბოჩია, ბორისი, ია, დალი ჭარაიები, ძმისშვილები: არველოდი, მემეშა, გიული, შურიკი, ბიგვავები, მული ლიდია, მაზლი მალაქია, მულიშვილი გოგუცა, მაზლიშვილები: გიგლა, ეთერი, შვილიშვილები: ფრიდონი, ნონა, ავთანდილი, კახა, ანა ქაძანაიები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**ქსენია კალისტრატეს ასულ ბიგვავა-ქაძანაიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20 სექტემბერს სოფ. ანაკლიაში.

მეუღლე კაკო, შვილები: ლეილა, ნაირა, გოგი, რაფიელი, რამინი, ვალერი შენგელაიები, ძმები: აკაკი, ინდიკო, ვაჟა ძაძამიები, სიძეები: ლერი თორდია, ზაური ქუხილავა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვერა (მარგო) ილარიონის ასული ძაძამია-შენგელაიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 20, 21, 22 სექტემბერს, დაკრძალვა 23 სექტემბერს სოფ. ზედაეწერში.

საქართველოს მუსიკალური საზოგადოების ზუგდიდის საქალაქო გამგეობა და ანსამბლ „ჩელას" კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**პაშა ვასილის ასული ნოდია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-09

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 2200